წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი 7 ივლისი

# სამშობლო

№ 398

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე — ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

დიდათ შეწუხებულნი დარია დავითის ასული ქორქაშვილი და ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიქოვანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ სამშაბათს, 5 ივლისს უეცრად გარდაიცვალა, პირველის ძვირფასი ძმისწული და მეორის საყვარელი ბიძაშვილი

**ინჟენერი გრიგოლ ლუკას ძე ქორქაშვილი**

პანაშვიდები ყოველ დღე, მიცვალებულის სადგომში (ქუთაისი ივანოვის ქუჩა, ჰიჰინაძის სახლი) საღამოს 7 საათზე. გამოსვენება პარასკევს, 8 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. დასამარება საფირჩხიის სასაფლაოზე.

239 2—1

ღრმათ შეწუხებული ანასტასია, ეკატერინე და კონსტანტინე ნიკოლაძეები, ლევან და ირაკლი წერეთლები და ელენე დემოლონ—წერეთელი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცარ გარდაცვალებას სამშაბათს, 5 ივლისს, პირველების ძვირფასი დისწულის და უკანასკნელების საყვარელი დეიდაშვილის

**ინჟენერ გრიგოლ ლუკას ძე ქორქაშვილის**

პანაშვიდები ყოველ დღე მიცვალებულის სადგომში (ქუთაისი ივანოვის ქუჩა, ჰიჰინაძის სახლი) საღამოს 7 საათზე. გამოსვენება პარასკევს, 8 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. დასამარება საფირჩხიის სასაფლაოზე.

240 2—1

დიდათ შეწუხებულნი ქრისტინე დავითის ასული ბახტაძისა და ნატალია, ელენე, სერგია, არკადი და ლუკა ბახტაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცარ გარდაცვალებას სამშაბათს, 5 ივლისს, პირველის საყვარელი ძმის წულის და დანარჩენების ძვირფასი ბიძაშვილის ინჟენერის

**გრიგოლ ლუკას ძის ქორქაშვილის**

პანაშვიდები ყოველდღე მიცვალებულის სადგომში (ქუთაისი, ივანოვის ქუჩა, ჰიჰინაძის სახლი) საღამოს 7 საათზე. გამოსვენება პარასკევს, 8 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. დასამარება საფიჩხიის სასაფლაოზე.

237—2—1

ღრმათ შეწუხებულნი ოლღა და ოლიმპიადა ლუკას ასულნი, აკაკი და ალექსანდრე ლუკას ძენი ქორქაშვილები და მარიამ ლუკას ასული კნ ჩიქოვანისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი ძმის ინჟენერ

**გრიგოლ ლუკას ძის ქორქაშვილის**

უეცარ გარდაცვალებას სამშაბათს, 5 ივლისს. პანაშვიდები ყოველ დღე მიცვალებულის სადგომში, (ქუთაისი, ივანოვის ქუჩა, ჩიჩინაძის სახლი) საღამოს 7 საათზე. გამოსვენება პარასკევს, 8 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. დასამარება საფიჩხიის სასაფლაოზე.

238 1—2

დ. ლაილაში.

**კბილის ექიმი**

**ანნა პარმენის ასული მგალობლიშვილი**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

ბორჯომში

**ექიმი** სიმონ **ხეჩინოვი** 25 ივანობისთვიდან 25 მარიობისთვემდე მიიღებს ავათმყოფებს **ბორჯომში** (საყდრის ქუჩა № 98).

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე ურჩის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** ი. **ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$— 2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ. 2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. **„სამშობლოს“** რედაქც.

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 7 ივლისიდან ახალი პროგრამა.

**ბედნიერება საუკუნე ღამეში.**

ძლიერი დრამა 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა: ქ-ნ კარალლის დაბ-ნ პოლონსკის მონაწილეობით.

პარიზის მიდამოები,

სანახაობა.

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 7 ივლისიდან ახალი პროგრამა.

**გომონის ქრონიკა.**

**გმირი ხმლით და გმირი სულით.**

დრამა 3 ნაწილად ცნობილ მცირე წლოვან მსახიობის ჟანეთ ჟარდეს მონაწილეობით. საფრანგეთის ცნობილ მწერლის ლეონ როპრეს ნაწარმოებით.

**ხუმრობა და სიყვარული**, კომიკური.

## განცხადება.

კავკასიის შტაბის პირველ „ობოზნოი“ ბატალიონის კომანდირის ნებართვით ვაუწყებ საზოგადოებას, რომ **მე მონდობილი მაქვს მივიღო და ჩავწერო** სატრანსპორტო სამსახურში—(ეს ტრანსპორტები საჭიროა სამხედრო უწყებისათვის) **ყველა, ვინც კი თავის ნებით მოისურვებს ასეთს სამსახურს.**

იმას, ვინც წამოიყვანს **უღელ ხარს თვეში მიეცემა 140 მანეთი. იმას, ვინც წამოიყვანს ორ ცხენსა და ფურგონს, მიეცემა თვეში 200 მანეთი, ხოლო იმას, ვინც წამოიყვანს ორ ცხენს თავის კეხით** მიეცემა 185 მანეთი. ყველა, ვინც კი ჩაეწერება ამ ტრანსპორტებში **განთავისუფლდება სამხედრო ბეგარისაგან,** რომელი ხარისხის მოლაშქრეც უნდა იყოს.

ჯამაგირი მიეცემათ და სამსახური ჩაერიცხებათ იმ დღიდან, რა დღიდანაც თანხმობას გამოაცხადებს და თბილისს გაიგზავნება.

პირადად მოლაპარაკება და დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ყოველდღე შემდეგის მისამართით:

ქუთაისი, ლევაშოვის ქუჩა, **დიმიტრი ივლიანეს ძე მგალობლიშვილთან.**

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 4 ივლისი. ვოლინში დ. სვინიუხის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გენ. სახაროვის მამაცმა ჯარმა სძლია მტერს. დ. პუსტომიტთან მომხდარ ბრძოლების დროს დავატყვევეთ 1000 ზე მეტი გერმანელი და ავსტრიელი, ხელთ ვიგდეთ საში სუბუქი და ორი მძიმე ზარბაზანი, ტყვიისმფრქვევლები და სხვა სამხედრო დავლა. ერთ ერთ ბრძოლაში დაიჭრა გენ. ვლადიმირ დრაგომიროვი.

ქვედა ლიპის მიდამოებში ჩვენი წინსვლა გრძელდება. მტერი აქ მედგარ წინააღმდეგობას გვიწევს. აქ დავატყვევეთ 226 აფიცერი და 5872 ჯარისკაცი, ხელთ ვიგდეთ 24 ზარბაზანი, ამათაგან 12 მძიმეა, 14 ტყვიისმფრქვეველი, რამდენიმე ათასი ვინტოვკა და სხვა ქონება. ამას გარდა აქვე დავატყვევეთ 51 აფიცერი 2165 ჯარისკაცი. 3 ივლისამდის ვოლინში დავატყვევეთ დაახლოვებით 917 აფიცერი, 12,637 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 80 ზარბაზანი, რომელთაგან 17 მძიმეა (10, 6 და 9 სატიმეტრიანი), მრავალი ტყვიისმფრქვეველი და სხვა მასალა. ტრანსილვანიის საზღვარზე კირლიბაბას მიმართულებით, ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სიმაღლე დაიპყრო კვლავ. რიგის მიდამოებში მცირე შეტაკებები მოხდა ჩვენს სასარგებლოდ. მტრის სანგრების ერთი ნაწილი დავიპყარით

კავკასიის ასპარეზი.

ჩვენი არმიის მარჯვენა ფრთის წინსვლა გრძელდება. ყუბანელმა პლასტუნებმა გენ. გორნოსტაევის მეთაურობით გაიმარჯვეს.

**შენიშვნა:** დვინსკის პოზიციების და სავლეთით ერთმა ჩვენმა მფრინავმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. პოდპორუჩიკი კოვენკო სად. აბელზე დაფრინავდა, რომ ერთბაშად მასზედ უკანიდან იერიში მიიტანა მტრის „ფოკვერმა“ მფრინავი ხელში დაიჭრა; მიუხედავად ამისა ჩვენი მფრინავი მოუბრუნდა უკან და თვითონვე მიიტანა იერიში „ფოკვერ-“ზე უკანასკნელმა მეორედ შეუტია ჩვენ მფრინავს და მეორედაც ტყვიის მფრქვევლით მოგერიებულ იქნა. „ფოკერი“ მესამედ დაბრუნდა და განაგრძო იერიში; ჩვენ მფრინავს რადიატორი გაუხვრიტა ტყვიით. მფრინავმა შეაკეთა რადიატორი. ამ დროს იგი მეორედ დაიჭრა მუცელში მსკდომარე ტყვიით. მიუხედავათ მძიმე ჭრილობისა მიუჯდა ტყვიის მფრქვეველს და დაუშინა „ფოკერს“, რომელიც ძირს დაეშვა. კოვენკოს თანამგზავრი, მოხალისე მფრინავი პუშკინი, მიუხედავად დიდი ზიანისა ნელ ნელა დაბლა დაეშვა. მას მტრის ზარბაზნები უშენდნენ. მაგრამ მაინც შესძლო მშვიდობიანად დაბრუნება და ცოცხალ მკვდარ კოვენკოს მოყვანა.

**პეტროგრადი.** 5 ივლისი. რიგის სიმაგრეებზე საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელები ეცადნენ ზოგი დაკარგულ პოზიციების დაბრუნებას, მაგრამ ვერ შესძლეს. გენ. სახაროვის მანევრი ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. აქ დღევანდლამდე ჩვენ დავატყვევეთ 13000 კაცი და ხელთ ვიგდეთ 30 ზარბაზანი. ქვედა ლიპის მთელი მარცხენა ნაპირი მტრისგან გავწმინდეთ, და და დავახეინეთ სოფ. ევინჩიანის და კრასოვის იქით. მტერი უწესრიგოდ იხევდა, ვინაიდგან ბევრი მასალა ვიპოვეთ გზადაგზა. იტყობინებიან, რომ გუშინ წართმეულ 17 ზარბაზნიდან ორს უკვე მტრის პოზიციებს ვუშენდით გუშინ მდ. ლიპას სამხრეთ ნაპირზე. ტყვეები სხვადასხვა პოლკის სამოსში არიან გამოწყობილნი

კავკასიის ასპარეზი.

კავკასიის არმიის მარჯვენა ფრთა კვლავ წინ მიიწევს. დიდი წარმატება ნახეს ჩვენმა პლასტუნებმა. მათ მედგრად განდევნეს ოსმალონი მათ პოზიციებიდან. ზოგალაგას მათ თოვლიანი მწვერვალები გადალახეს. მეჯიდ-დაგის მიდამოებში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ორი ტყვიისმფრქვეველი და ბევრი იარაღი. პონტის ტავრაზე ჩვენ დავატყვევეთ მთელი როტა. 2 ივლისს ბაიბურთზე იერიშის დროს ოსმალებს წავართვით ერთი დროშა.

**ლონდონი.** 5 ივლისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. ინგლისელებს კვლავ წარმატება უნახავს. მეორე ხაზის სიმაგრეები. ბეზანტონის ახლოს ინგლისელებმა აიღეს გამაგრებული ფერმა ვატერლოტიდა უკანასკნელი პოზიციები პოვილიერთან.

**პარიზი.** 4 ივლისი. საღამოს ოფიციალური ცნობა მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ფლერისთან 3 ივლისს 200 კაცამდე დავატყვევეთ. დანარჩენ ასპარეზზე დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. დიდი უამინდობა იყო.

**ჰავრი.** 4 ივლისი. ბელგიის ოფიციალური ცნობა ბელგიელების არტილერია მძლავრად მოქმედებს და რამდენიმე სიმაგრე გერმანელებისა დაუნგრევია გეტოა ცმეზინგის მიდამოებში.

**რომი:** 4 ივნისი იტალიის მთავარ ბინის ცნობა. კოზინის ხაზზე ფიცხელი ბრძოლა გრძელდება, მიუხედავად ძლიერი ქუხილისა რაც არტილერიის მოქმედებას უშლიდა. სოლი ბნკის კალთებზე იტალიელების ჯარმა რამდენამდე წინ წაიწია. მდ. ბსიტეს ველზე მანტესესელუჯიის კალთებზე ავსტრიელებს ძლიერი დამხმარე ჯარი მოუვიდა და კონტრიიერიშები მოიტანა, მაგრამ ყველა მოიგერიეს ავსტრიელებისთვის დიდი ზარალით. პეუმას სიმაღლეებზე ავსტრიელები იტალიელების თხრილებს დაუახლოვდნენ მაგრამ იტალიელებმა განდევნეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ათინიდან იტყობინებიან დეველიაში გაჩენილ ცეცხლს სულ მთლად უმსხვერპლია მეფის საზაფხულო სასახლე. დედოფალი სოფია ძლივს გადარჩენილა. იგი ცეცხლი მოსდებია თუ არა სასახლეს დაუვლია ხელი თავის პატარა ქალისათვის და გარედ გამოუყვანია.

—

ოდესაში 500 ოსმალეთის ქვეშევრდომი სომეხი მისულა წინათ ისინი ბულგარეთში ყოფილან და ჩაება თუ არა ბულგარეთის ომში სომხებმა დაიწყეს რუსეთში დენა.

—

კვლავ სწერენ გაზეთები რუმინიის პოლიტიკის გამოცვლის შესახებ მათი სიტყვით რუმინიაში შესდგება „ეროვნული სამინისტრო“ და ბრატიანუც გადადგება.

—

„რუსკ. სლოვო“. იტყობინება, ავსტრო-უნგრეთში ოპოზიციური პარტიები აგიტაციას ეწევიან ზავის სასარგებლოდ.

—

ბულგარეთ-რუმინეთის საზღვარი კვლავ დაუკეტიათ.

# ომის დღიური.

— —

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** რიგის პოზიციებზე გერმანელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ რუსებმა მოიგერიეს. ქვედა ლიპაზე რუსებს კვლავ წარმატება უნახავთ; რამდენიმე ათასი ტყვე და 80-მდე მძიმე და მსუბუქი არტილერია უხელთებიათ.

**ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** ერმანჯის მიმართულებით და უფრო დასავლეთით რუსები წინსვლას განაგრძობენ. ოსმალთათვის რამდენიმე ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველი და სხვა სამხედრო მასალა წაურთმევიათ რუსებს.

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** ბელგიის ჯარის ბრძოლის პირზე საარტილერიო ბრძოლაა. მდ. სომმის მიდამოებში ინგლისელებმა მეორე ხაზის რამდენიმე სიმაგრე აიღეს და მაგრდებიან.

**ᲕᲔᲠᲓᲔᲜᲗᲐᲜ.** მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ასპარეზზე სიწყნარეა.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს არტილერიის დახმარებით.

სამხრეთ სპარსეთში კვლავ გაჩენილან გერმანელთა აგენტები, რომელნიც მოქმედებას განაგრძობენ ცნობილ პუგენის ხელმძღვანელობით.

— —

არაბები ენერგიულად მოქმედებენ ოსმალების წინააღმდეგ, რამდენიმე ნავსადგური დაიპყრეს მეწამლულ ზღვაზე და დიდი ძალი დავლა წაართვეს ოსმალებს.

— —

ვლადიმერ ვოლინსკიდან ერთი ხმოსანი გამოპარულა. მისი სიტყვით ეხლა ქალაქში 30 ათასი მცხოვრები დაა. დანარჩენნი მინდვრად არიან გასულნი და ადგილების გასამაგრებლად მუშაობენ. გერმანელები დარწმუნებული ყოფილან, რომ შესძლებენ ქ. კოველის და ვოლინის შენარჩუნებას.

— —

„რუსკ. სლოვო“ ს სიტყვით სპარსეთის მთავრობას უკმაყოფილება გამოუცხადებია ოსმალეთისთვის და შეუთვლია თუ კვლავ კიდევ შეიჭრება ოსმალეთის ჯარი სპარსეთის მიწა-წყალზე იგი ომს გამოუცხადებს ოსმალეთსაო.

— —

ოსმალეთს დიდი ძალები შეუყრია არაბეთში გასაგზავნათ, რათა დასაჯონ ურჩი არაბები.

— —

გერმანიას დასავლეთ ასპარეზიდან 180 ათასი ჯარის კაცი გამოუგზავნია.

— —

გერმანიაში ახალი ბრძანება გამოუციათ, რომლითაც უშლიან საზღვარგარედ მყოფ გერმანელებს სახელმწიფოს შინაურ და ეკონომიურ მდგომარეობის ლაპარაკს. დამნაშვენი ჩაითვლებიან სამხედრო ჯაშუშებათ და მოღალატეებათ.

— —

ავსტრიელების მიერ ქ. დუბნოს მოურავად დანიშნული ბრალი რუსებს დაუტყვევებიათ და სასამართლოში მიუციათ უფლების ავათ გამოყენებისათვის.

— —

შტიურმერს უკვე მიუღია პარიზის კონფერენციის შესახებ მოხსენება. მეორე კონფერენცია მოხდება ინგლისში შემდეგ იტალიაში და რუსეთში.

— —

კოპენჰაგენის გაზეთი „პოლიტიკენ“ იტყობინება, ზეებრუგესა და ბლანკენბურგის ახლოს ძლიერი საზღვაო ბრძოლაა მოხდა გერმანელთა და ინგლისელთა კონტრ ნაღმოსანთა შორის ბძოლის შედეგი ჯერ გამორკვეული არ არის.

— —

იმპერატორი ვილჰელმი დასავლეთის ასპარეზზე ყოფილა ამ ჟამად სომმის ბრძოლებს გაფაციცებით ადევნებს თვალყურს, მხოლოდ გენერლების მოქმედებაში არ ერევა იმპერატორი ხიფათს გადარჩენილა, ბეპომ—პერონის გზაზე ავტომობილი მიდენილა, ამ დროს მოკავშირეთა მფრინავებს იერიში მიუტანიათ, მაგრამ იგი გადარჩენილა

— —

საბერძნეთის მეფის ძმები ნიკოლოზ და ანდრია რუსეთისკენ გამგზავრებულან. ამ მოგზაურობას გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

— —

საბერძნეთის პოლიციის და ჟანდარმერიის უფროსები გამოუცვლით.

— —

მოკავშირეთა პრესა დაჟინებით მოითხოვს მისგან ომი გამოუცხადოს ავსტრია გერმანიას.

— —

გერმანიაში 30 რუსი ტყვე ციხეში ჩაუმწყვდევიათ, რადგანაც მათ ურჩობა გაუწევიათ უფროსებისათვის და უკეთესი საკვები მოითხოვა

— —

გერმანიაში ხალხი კრების საშუალებით ეკითხება საიმპერიო კანცლერს რა მიზანი აქვს ომს.

— —

რუმინია თავის მძიმე არტილერიას აძლიერებს.

— —

ბოლო დროს ბალტიის ზღვაზე ენერგიულად მოქმედებენ რუსის წყალ ქვეშა ნავები. ამ რამდენიმე დღის წინათ რუსის წყალ ქვეშა გერმანულ სავაჭრო გემს დახვდა მან თავი შვეციის ნავთსადგურს შეაფარა

— —

მექსიკასა და შერთებულ შტატებს შორის მშვიდობიანობა დამყარდა. ეხლა გენ. კარანც მოითხოვს შტატებისაგან მექსიკის ტერიტორიიდან ჯარის გაყვანას.

— —

ცნობილი ამერიკელ მილიარდერ ფორდს განუცხადებია თავის მუშებისათვის ვინც მექსიკელებთან საბრძოლველად წავა, მუშაობიდან დავითხოვ და ფულსაც არ მივცემო.

—

ჩერნაგორიაში მრავალი მეამბოხე და ყაჩაღი დაუტყვევებიათ და დაუსჯიათ ავსტრიელებს.

## სამხედრო მიმოხილვა.

ამ ერთი კვირის განმავლობაში რუსებმა შეტევა დაიწყეს კავკასიის ასპარეზზე. აამოქმედა კავკასიის არმიის მარჯვენა ფრთა, დაიბრუნა მამახათუნი, აილო ბაიბურთი და კიდევ მიიწევს წინ.

თვეზე მეტია მას აქეთ რაც ოსმალნი მძლავრად ამოქმედნენ თავის ჯარის მარჯვენა ფრთაზედ, სამხრეთ დასავლეთ სპარსეთში და რუსები 80—100 ვერსით გამოდევნეს ეს უკვე სახუმარი საქმე არ იყო და რუსებმა ყურადღება მიაქციეს მას.

ოსმალების გეგმა იყო რუსის ჯარის უმეტესი ნაწილი სპარსეთისაკენ გაეწვია და მცირე აზიაში რუსები შეეკავებინა და მართლაც სპარსეთით შემოტევას მოჰყვა ოსმალების მიერ მამახათუნის დაბრუნება.

რუსებმა ოსმალების შემოტევას შეტევითვე უპასუხეს, მხოლოდ არა სპარსეთის ასპარეზით, არამედ სწორედ ერმინ -ჯანის მიმართულებით პონტის ტავრამდე. აქ შეტევით რუსებს აზრად აქვთ დაიბრუნონ აქ დაკარგული ქალაქები, და ამას გარდა გავლენა მოახდინონ სპარსეთის ასპარეზზე, და აიძულონ ოსმალნი უკან დასახევად.

შვერელი-

**ქ. ქუთაისი, 7 ივლისი.**

<u>ჩვენი ჯგუფები.</u> ვინც ჩვენ რედაქციებთან ახლო სდგას, ვისაც აინტერესებს თვით დედა აზრი სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობისა და არა ამა თუ იმ პირთვნების სამსახური, ვისაც სწამს ჩვენი ხალხი, მისი გამოფხიზლება, მისი ისტორიული უფლებანი და უკეთესი მომავალი, ის დაგვეთანხმება, რომ იმ პირობებში, რა პირობებიც შეიქნა ჩვენის ჯგუფების გარშემო, ყოვლად შეუძლებელია გულ მშვიდად მუშაობა და სათანადო კულტურული ბრძოლა იდეურ ნიადაგზე.

შეუძლებელია იმიტომ, რომ ან ხელი უნდა აიღო ყოველგვარ მუშაობაზე, გაშორდე საზოგადოებას, გადავარდე სადმე და კარ ჩაკეტილად იცხოვრო, ან და შემოიკრიბო გარშემო ერთგული ყურმოჭრილი მონები, ჩააცვა, გააძღო, გაათბო, შეჰქმნა ერთგვარი კადრი შენი პიროვნების დამცველებისა და მიუს-მოუსიო ყველა იმას, ვინც კი ხელს უშლის შენს მუშაობას.

ორივე შემთხვევაში ირღვევა წონასწორობა მუშაობისა და თვით ამ მუშაობას ეკარგება ყოველივე ღირსება და ნაყოფი მოღვაწეობისა.

თუ თავი ცოცხლად დაიმარხე, ჰღალატობ შენს ადამიანურსა და მოქალაქობრივ მოვალეობას, ხოლო თუ გაიჩინე კადრი დამქაშებისა—ყრუ და ბრმა დამქაშებისა,—ჰღალატობ თვით სიწმინდეს იდეიისას, თვით დედა აზრს კაცურკაცობისას!.

მეტის მეტად დიდ ბუნებოვანი, თავზე ხელ აღებული, ქონებრივად ძლიერი და ნებისყოფით მტკიცე უნდა იყოს ადამიანი, რომ მსხვერპლი არ გახდე, იმ ვერაგობისა, რომელსაც გიმზადებს შენ შენი მოწინააღმდეგე..

მოწინააღმდეგობა კი ჩვენში ავადმყოფობად გადაიქცა!.. თუ კი დაასწარ რომელიმე ჯგუფს, ან ამ ჯგუფის პირველ კაცს და სთქვი რამე ისეთი, ან მოითხოვე. გაკეთება ისეთი რამის, რაც ყველასათვისაც კი თვალსაჩინო და სასარგებლოა, უეჭველია წამოგედავებიან და იმდენს ეცდებიან, რომ ან ხელი შეგიშალონ და ან დაგამცირონ!..

არა ფასდება არც შენი შრომა, არც გულ წრფელობა, არც თავდადება. შენი პიროვნება, შენი და შენი ცოლშვილის კეთილი სახელი განსაცდელშია!.

მართალია თითოეული ჯგუფი სიტყვით ეთაყვანება თავისუფლებას სიტყვისას, რწმენისას, მაგრამ საქმით კი ჯავარზე გაცმენ, თუ კი სთქვი რამე ისეთი რაც მეორეს არ ეჭაშნიკება... მაშინვე გწვდებიან ყელში და თუ ვერ დაგარჩვეს, ისე გაგლანძლავენ, რომ რიონმაც ვერ გაგრეცხოს.

ამის მაგალითები ყოველ დღე ხდება.

აიღეთ რომელიც გნებავთ გაზეთი: „თანამედროვე აზრი“ და „სახალხო ფურცელი“ („ცხოვრება“?), „ფედერალისტები“ „ეგროპა“ ჯგუფის „ნაციონალისტებს“, „სახალხო—ზვირთი“ და მათი მაჩანჩალა უდღეური „მეგობარი“ თავზე კაკალს გვანტვრევენ ჩვენ და დასელებს.

თითეულ ამ გაზეთს მარტო თავისი თავი და თავისი მოძღვრება ჰგონია ქვეყნის მხსნელი და ვაი იმას, ვინც მისებურად არ დაიწერს პირ-ჯვარს.

ღმერთმა ჩვენ მტერსაც კი აშოროს მოწინააღმდეგეს ყბაში ჩავარდნა, თორემ მშვიდობით ცოლო და შვილო, წინ და წინვე თავი უნდა იზიარო თუ მორწმუნე ხარ, რასაკვირველია, თუ არა და უსულადოდ ამოგაძრობენ სულს.

ჩვენ აღარ ვიცით სადღაა მაღალი მოძღვრება— თავისუფლება აზრისა და სიტყვისა...

ნუ თუ ყველა თვალთ-მაქცობაა ქვეყნად და ყოველი მშრომელი ადამიანი მსხვერპლი უნდა იყოს ფანატიკოსობისა?

აი ის საკითხი, რომელიც უნდა გადასჭრას თვით ხალხმა და ამავე ხალხმა უნდა ალაგმოს ყველა თავდავიწყებული და „ცარიელ სიტყვების“ რედაქცია იქნება იგი, ლიდერი რომელიმე პარტიისა, თუ კერძო მქადაგებელი.

მარტო სამართლიანობა და ისევ სამართლიანობა თუ დაგვიხსნის იმ უბედურებისაგან, რომელშიაც იმყოფება თითეული გულწრფელი და ნამდვილი მოსამსახურე ხალხისა.

აი ამ სამართლიანობის აღსადგენათ ვბეჭდავთ დღეს ჩვენ ილიას პასუხს, თუმცა ვიცით, რომ ბევრს პასუხი იგი არ იამება.

## ქართული პრესა.

გაზეთი „საქართველო“ ჩვენებურ პარტიობის შესახებ სწერს:

კარგა ხანია რაც ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოიჭრა და დამკვიდრდა ერთი უცნაური სენი. საზოგადოებაში გაჩნდა რამოდენიმე ჯგუფი. ჩვენში მათ პარტიებს ვეძახით. და აი ეს ჯგუფები თავის დანიშნულებას იმაში ხედავენ, რომ მუდამ ერთმანეთთან ბრძოლაში იყვნენ, არის რამე სადაო, გასაყოფი, თუ არა—სულ ერთია. თუ ერთი ჭერთს იტყვის, მეორემ უთუოდ წინააღმდეგი უნდა სთქვას და მათ შორის ამ ნიადაგზე ბრძოლა უნდა გაჩაღდეს. ვერ მოძებნით ისეთს საკითხს, რაც უნდა უდავო და საერთო იყოს, საერთო სარგებლობისა, ანუ საერთო მაგ·

## ნუ თუ?*)

(პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა).

I

„ივერიის“ მკითხველთ უკვე მოეხსენებათ, რომ „მოგზაურში“ (№13) დაბეჭდილი იყო კორესპოდენცია, რომელსაც თუმცა სათაურად ჰქონდა „საგურამოს და ქოპორტის საზოგადოება“, მაგრამ უფრო მე ვყავდი ნიშანში ამოღებული და ჩემი ადამიანური ღირსება

ავტორი „მოგზაურის“ შემწეობით მე მაბრალებს,—ვითომც მხეცურ გულქვაობით და სამარცხვინო ავ-ზნეობით ვეპყრობოდე „საგურამოს“ გლეხ-კაცობას და ამისათვის ერთმანეთზე ცოტად თუ ბევრად შეუწყნარებელს ამბებს მოგვითხრობს ისეთის კადნიერებით, თითქო მართალია, და ისეთის გახარებით, თითქო ოქროს მადანი უპოვიაო.

ეს კორესპოდენცია გადმობეჭდილ იქნა „ივერიაში“ (№54) ამ დაბოლოვებით: „ნუ თუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუ თუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერ-ჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თ. ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებსო“.

თუმცა ის ამბავი, რომ „ივერიამ“ ეს კორესპოდენცია მთლად გადმობეჭდა და იმით ხელი მოუმართა ავტორს გაევრცელებინა საძაგელი მოთხრობა, თავის თავადაც ასე თუ ისე იკბინება, მაგრამ მე მაინც მადლობელი დავურჩი „ივერიის“ რედაქციას. რაც გინდ იყოს, ზემო აღნიშნული დოსტალური პირდაპირ გვანიშნებს, რომ „ივერია“ სიფრთხილით და წინდახეულად მოქცეულა, ბრმად არ აჰყოლია ვიღაც ორს ასოს ქვეშ მიმალულ კორესპონტენტის ფეხის ხმას იქ, საცა ხელ შეხებულია ადამიანის ღირსება, პატიოსნება, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც პატივ-აუხდელ ადამიანის უძვირფასესს და ხელ-შეუხებელს კუთვნილებას შეადგენს

მცირეოდენ განათლება მოცხებულ კაცს მცირე ოდენ საღის ჭკუის პატრონს კარგად მოეხსენება, რომ ყოველივე თავისის თავის და პრესსის პატივის-მცემელი რედაქცია და თუნდ ყოველივე ცალკე კაცი ასე უნდა მოიქცეს ყოველს შემთხვევაში და, თუ სულ მთლად ზურგს არ შეაქცევს, ეჭვი მაინც უნდა შეიტანოს იქ, საცა სხვის ადამიანურს ღირსებას, სინიდისს წმიდათა-წმინდას შესაბღალავად და შესაგინებლად იმეტებენ.

ეს ანბანაა ზნეობისა, ეს მისი პირველი და უკანასკნელი კანონია, მერე იმისთანა, რომელიც რა თვალითაც გინდ შეხედოთ, ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის, რა დასისა და რწმენის კაციც გინდ იყოს.

ეხლანდელი დრო და მასთან ერთად ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონება გახსნილი კაცი და ქალი რომ ხმა-მაღლა ჰღაღადებს ხელ-შეუხლებლობას ადამიანისას, განა მარტო პოლიციის მიერ ხელ შეუხლებლობა აქვთ სახეში არამედ ყოველ-გვარი ხელ-შეუხლებლობა და სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელ-გასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად

ბევრი კაცი და იქნება იმისთინა უხეირო რედაქციაც სადმე იყოს, კაცთა საუბედუროდ, რომელიც ძალზე იჭაჭება და ბუკითა და ნაღარით გაიძახის ამ შეხედულობას ადამიანისას, მაგრამ ყოველ წარა მარად მოტანტალე კორესპონდენტს სიხარულით კარს უღებს და ხელს უწყობს გამვლელი და გამოვლელი საერთოდ და რედაქციის მიერ ნიშანში ამოღებული საკუთრივ ლაფში ამოსვაროს თავიდად და ფეხამდე წინასწარ მოუკითხავად,—ვინ მტყუანია და ვინ მართალი...

ნუ თუ ეს ამისთანა საქციელი ხელშეხება არ არის და ყველა ხელშეხებაზე უფრო საზიზღარი, უფრო შემაძრწუნებელი და უფრო საშიშარი კაცის ერთმანეთობით ადამიანურ ცხოვრებისათვის. ნუ თუ ეს არის იგი მადლ-ცხებული თავისუფლება ?ეჭვდის, პრესსისა, რომელსაც ასე სამართლიანად შევხარით დღეს დიდი და პატარა და ასე გულ-მხურვალედ და თავდადებით ვეტანებით.

ეს ხომ, თავისუფლება-კი არა, ბოროტად ხმარებაა იმ გაპატიოსნებულ ძალღონისა, იმ ძლევა-მოსილ შემძლებლობისა, რომელიც პრესას სამართლიანად ხელთ უპყრია და რომლის მეოხებით დღეს გვირგვინოსანნიც-კი ქედს იხრიან სასოებით და მოწიწებით.

ნუ თუ ეს ამისთანა შემძლებლობა ბეჭვდის სხივ- მოსილ თავისუფლებისა რედაქციამ იმაზე უნდა ჩამოახდინოს, რომ კაცმა კაცი უთავბოლოდ გაჰპენტოს კაცმა კაცს უთავბოლოდ სახელი შეულახოს, ნამუსის ქუდი მოჰხადოს და ლაფში გადაუგდოს. რედაქციის კალამი ნიჩაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესიამოვნება, ლაფი და ტალახი შეასხა ან თავისის ან სხვისა ხელით.

ზოგისათვის ამისთანა საქციელი პრესისა თუ მთლად არ არის შესანდობარი, ცოტა თუ ბევრად შესაწყნარებელია მით, რომ პრესსისაგან უსამართლოდ და უსაბუთოდ შებღალვილს ღონის ძიება აქვს თავი იმართლოს ბეჭდითვე. ბევრს ეს პრესსის მეტზე-მეტის პატივისცემით მოსდის და არა იმისათვის, რომ ამისთანა უკადრისი საქციელი პრესსისა არ ეხამუშებოდეს. ეხამუშება, სწყინს კიდეც მაგრამ არ უნდა, რომ იმისთანა მზეს, როგორიც დღეს პრესსაა, ლაქები რამ ჰქონდეს და არ გაუქარწყლოს.

მეც დიდი პატივის-მცემელი ვარ პრესსისა და ერთს დროს, ვიდრე ჯანმრთელობა არ შემერყა და ნებას მაძლევდა, მეც ერთი ჩანჩალა ვიყავ მისი, მაგრამ იმისთანა პატივის-მცემელი კი არას დროს არა ვყოფილვარ და არცა ვარ, რომ ყოველ წარა- მარად ბლაჯვნას პრესის წმინდა სახელი ვუწოდო, ან პრესის ყოველივე საქციელი ვაქო და ვადიდო ბრმად და განუსჯელად. ბრმად თაყვანის-ცემა რისიმე, თუ ვისმე კერპთ მსახურება ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა.

პრესსა, რომლის სამფლობელო მართალი და ჭეშმარიტებაა და რომელიც მარტო ამ ორთა წიაღში უნდა ატრიალებდეს და ამოქმედებდეს უკეთესთა ადამიანთა ჭკუა-გონებას და უმაღლეს სულთა სწრაფვას კაცობრიობისას გზას უკაფავდეს, განა ეპატიება უსამართლოდ გაბიაბრუება ადამიანისა მარტო იმ საზრისით, რომ, თუ აქ კაცი კაცს უსაფუძვლოდ ერჩის, იმედია, გაბიაბრუებული უსაბუთობას რჩოლისას დაგვიმტკიცებსო.

კიდევ ვიტყვი, რომ პირველ დაწყებითი კანონი და მოძღვრება მთელის განათლებულის, თუ გაუნათლებელ კაცობრიობისა ის არის, რომ ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, და მას მერმედ, დიაღ, მხოლოდ და მხოლოდ მას მერმედ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი უამისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანისა პასუხის საგებლად წაწყმედაა, მიწასთან გასწორებაა, პირქვე დამხობაა იმ საკაცობრიო სამართლისა, მართლ მსაჯულებისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა ცხოვრება.

ეს ყველაზე უწინარეს პრესსამ, ვით სალარომ ადამიანის ჭკუა-გონებისამ, უნდა იცოდეს და თვითვეულს გაზეთს თუ ჟურნალს თავის დროშაზე დიდის ასოებით ეწეროს. ეს უნდა აუცილებლად კისრად იდოს პრესსამ, ამას უნდა აქედ იქით გადაუხვევლად ემსახურებოდეს. ამას უნდა თავ-გამოდებით და უკან დაუხევლად სდევნიდეს თვითონ იგი ნაწილი პრესსისა, რომელსაც ძირს არ დაუშვია ყოვლად პატიოსანი დროშა ბეჭდურის სიტყვისა. დიაღ, თვით პრესსამ უნდა თავი გამოიდოს, ამ შემთხვევაში, თუ სადმე მართლა ფეხ-ადგმულია ცნობიერება და ჭკუასა და გონებას თავის ადგილი უჭირავს. თორემ აქ აღვირის მიშვება და სადავეს მიგდება კარის გაღებაა იმ ერთ გვარ უწმინდურებისათვის, რომელსაც „შანტაჟს“ ეძახიან,

---

*] ვბეჭდავთ დაპირებისამებრ თავ. ილია ჭავჭავაძის წერილს, რომელშიაც ავტორი არჩევს მის შესახებ „მოგზაურში“ დაბეჭდილ კორესპოდენციას. მკ თხველი, რომელიც იცნობს ჩვენი გაზეთის მიმართულებას, თავის თავად მიხვდება და ჩვენის მხრით თქმაც მეტია, რომ ზოგიერთ საზოგადო მოსაზრებაში პატივცემულ ავტორს ვერ დავეთანხმებით.

შენიშვნა მაშინდელ „ივერიის“ რედაქციას.

ნებლობისა, რომ ამ პარტიებმა მის გარშემო ბრძოლა და ქარბუქი არ ასტეხონ.

პარტიები უთუოდ სხვაგანაც არის, პარტიული ბრძოლა სხვა ქვეყნებშიაც სწარმოებს, მაგრამ არსად არ მოიპოვება მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც პარტიული ბრძოლა გადაქცეულიყოს ერთგვარ კერპად ყოველდღიურ ცხოვრებისა, როგორც ეს ჩვენშია.

ვაშენებთ სკოლას, გაგვყავს სოფლის გზა, თუ ვირჩევთ დეპუტატს სულ ერთია, ჩვენი საზოგადოება პარტიებად უნდა დავრაზმოთ და ჯგუფური ბრძოლა უნდა ავტეხოთ.

ჩვენმა საზოგადოებამ თავი უნდა გაინთავისუფლოს ამ უცნაური სენისაგან. მას გონიერება ჰმართებს, რომ ყოველივე, ცხოვრებაში წამოყენებული საკითხი აწონ-დაწონოს: რა არის სადავო, ჯგუფური შეჯიბრების მასალა და რა არის უდავო, საერთო საჭიროების და კეთილდღეობის კითხვა. სამარცხვინოა ისეთი ერისთვის, რომელსაც ღირსება და თავმოყვარეობა და მომავალის იმედი არ დაუკარგავს ისეთი უნიადაგო და უსაფუძვლო ჯგუფური ბრძოლის წარმოება ყოველთვის და ყოველგან, როგორც აქვს ადგილი ხშირად ჩვენს ცხოვრებაში.

ამის მაგალითებს, საბუთებს არავინ მოგვთხოვს. ჩვენი ყოველ-დღიური საზოგადოებრივი ცხოვრება ასეთი მაგალითებით არის აღვსილი. გავიხსენოთ თუნდაც ჭიათურის საქმეები. საკითხი შეეხება შავი ქვის საუკეთესო მადნების და წარმოებების ბედს. საკითხი შეეხება მთლად ჭიათურის მრეწველობის მომავალს. სწყდება საკითხი—ქართველობამ უნდა დაჰკარგოს სავსებით ეს უდიდესი ეკონომიური ძარღვი დასავლეთი საქართველოისა თუ შესწევს ძალა მას ამის შერჩენისა. კითხვა აღძრა ერთმა გაზეთმა, სხვებმა წყალი დაიგუბეს პირში და როდესაც მათ „ყელში სწვდენ", განაცხადეს—ჩვენ არაფერი არ გვაქვს საწინააღმდეგო, რომ ის შავი ქვის მამულები, რომელიც დღეს უცხოელებს უჭირავთ ქართველებს დარჩესო. საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო.

ეს უდიდესი ეროვნული საჭიროების საკითხი იყო, მთელი საქართველოს უპირველესი ქონებრივი განძლიერების დაკარგვის საკითხის გამოსარჩლება; ამისთვის თავის შეწუხება არ სცნეს საჭიროდ. ამის ნაცვლად სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთი „მეგობარი" დიდის სიამაყით ამცნობს თავის მკითხველებს, რომ სამტრედიის ერთ-ერთ საზოგადოებაში დასრულდა ოცის-თავების არჩევნები, სადაც დასელებისსტიკად დამარცხდენო. აი სად იბრძვიან. აინტერესებთ ჩვენ სოციალისტურ პარტიებს ოცის-თავების და მამასახლისების არჩევნები...

ჩინებული დახასიათება ჩვენებური ჯგუფობრიობისა, მაგრამ რაკი „საქართველომ" სხვებს დაასწრო და ეს აზრი გამოსთქვა, „ეჭვი არ არის ეს სხვები ყალყზე შედგებიან და სიტყვას ბანზე აიგდებენ.

ასე იქნება, ვიდრე საქართველოს არ განუმტკიცდება ძლიერი ეროვნული გულისთქმა და ეს გულისთქმა ჩხირკედლობას არ მოაშლევინებს ჩვენებურ „სოციალისტებს".

## პრესის მაგიერი.

ქუთათურებმა, ალბად, იციან რომ აქ არსებობს ეგრედ წოდებული გაზეთი „ჩვენი მეგობარი".

ამბობენ რომ ეს გაზეთი ეკუთვნისო ერთ „ძლიერს" ჯგუფს, რომელსაც სულ თორმეტ ნახევარი კაცი ჰყავს თურმე მიმდევრად.

იმასაც ამბობენ, რომ თუ ქუთაისში შავი ქვის საბჭო არა ყოფილიყო, არც ეს გაზეთი იქნებოდა და არც მისი თანამშრომლები იმასლაათებდენო „მრავალ ჯარიან ჯგუფის" შესარცხვენად. მაგრამ რაკი საბჭოს თავისი გაზეთი სჭირია, დაუქირავებია ერთგული დამქაშები და ცნობილ გუცა ფარგოსაძისა და დალის ხელმძღვანელობით, ათასს აბდა-უბდას არაკუნებს.

აი, ამ გაზეთს, რასაკვირველია, არ მოსწონებია ჩვენი წერილები შავი ქვის საბჭოს შესახებ და რომ ვეღარა გაუწყვია რა, ბრიყვულად იხსენიებს ჩვენი რედაქტორის პიროვნებას.

საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ პასუხის ღირსად არა ვცნობთ იმ „გაზეთს", რომელიც ნიკო ნიკოლაძის წინააღმდეგ აწყობინებს გუცა ფარგოსაძეებს და მით მასხარად იგდებს, როგორც თავის თავს, ისე ქართულ საქმიანობა მოღვაწეობას.

## მილოცვა.

აღტაცებით ვეგებებით მშვიდ მუშაკს—ბატონ თეოფილე იესეს ძე ხუსკივაძის ოცდა ხუთმეტი წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობას. ვუსურვებთ მას კვლავ მრავალ წელს მეტის ალფრთოვანებითა და ენერგიით განაგრძოს თავისი ნაყოფიერი მუშაობა.

ქართველ მოხელეთა ერთი ჯგუფის მონდობილობით დიმიტრი კლდიაშვილი.

—

**დ. ხარაგაული.** ვულოცავთ ძვირფას თეოფილეს 35 წლის საზოგადო მოღვაწეობას. ვუსურვებთ ჯერ კიდევ მრავალი წლის განმავლობაში განაგრძოს მუშაობა.

სალამი იუბილიარს.

აგრაფინა და კოლია გურგენიძეები.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ვოლსკმა ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების მცხოვრებთა საყურადღებოდ შემდეგი სავალდებულო დადგენილება გამოსცა. რადგანაც სახელმწიფო თავდაცვისათვის საჭიროა ნედლი მასალა, როგორც მაგალითად მუხის ქერქი, თრიმლი ტყავეულობის დასამზადებლად და სამკურნალო მცენარეულობა წამლების გასაკეთებლად, ამიტომ სრულიად რუსეთის კავშირმა მოაწყო საკუთარი ორგანიზაციები, რომელნიც შეუდგებიან ამ ნედლი მასალის მოგროვება-დამზადებას აღნიშნულ გუბერნიებისა და ბათომის ოლქის მცხოვრებთა საყურადღებოდ მთავარი უფროსი აცხადებს, რომ ის პირნი, რომელნიც სპეკულიაციის მიზნით შეიძენენ ამ მასალას, დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით 3000 მანეთით, ან ციხეში დაპატიმრებულ იქნებიან 3 თვით. დასჯის უფლება მინიჭებული აქვს გუბერნატორებს. სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა.

✦ სამშაბათს 5 ივლისს შუადღის 12 საათზე შედგა კრება წვრილი საკრედიტო ამხანაგობისა ბ. გუნცაძის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრენ: მოსკოვის სახალხო ბანკის წარმომადგენელი, ამავე ბანკის აგენტი კავკასიაში ბ. ვ. კანდელაკი და აგრეთვე ათი წვრილი კრედიტის წარმომადგენელი.

კრებას უნდა გამოერკვია ის მიზეზები რომელმაც შეაფერხა შაბიაბანის ქუთაისში დროზე მიღება, რამაც გუბერნიის მევენახეობას დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივმა წვრილი კრედიტის წარმომადგენლებმა ერთხმად უსაყვედურეს მოსკოვის სახალხო ბანკის წარმომადგენელს შაბიაბანის დაგვიანება.

წარმომადგენლის განმარტებამ კრება ვერ დააკმაყოფილა.

✦ ორშაბათს. 4 ივლისს, ღამის თორმეტ საათზე გაჰქურდეს ნიკიფორე ჩხაიძის სახლი (სალორიის ქუჩაზე)

✦ სალორიის ქუჩაზე სახლის შენების დროს მეორე სართულიდან გადმოვარდა ოსტატი ვ ფარცვანია და სასიკვდილოდ დაშავდა.

✦ ქუთაისის წვრილ კრედიტს გუშინ მოუვიდა ერთი გაგონი შაბიაბანი დანარჩენსაც მალე მოელიან.

✦ გუშინწინ ქუთაისში ჩამოვიდნენ მოსკოვის სახალხო ბანკის წარმომადგენელი და აგრეთვე ამავე ბანკის აგენტი კავკასიაში ბ. ვ. კანდელაკი.

✦ ქუთაისში ივანოვის ქუჩაზე საკუთარ სახლში ლევორველით თავი მოიკლა ინჟინერმა გ. ქორქაშვილმა.

✦ ოსმალეთის ასპარეზზე ბაიბურთან ბრძოლის დროს მოკლეს პრაპორჩიკი დ. გოგავა.

✦ ფოთი 25 ივნისს ლიმონათის ქარხნის პატრონს კონსტანტინე ალექსის ძე რახაძეს ძილის დროს შარვლის ჯიბიდან მოპარეს 2500 მან

✦ მესხეთის ქუჩაზე მიხეილ გიორგაძემ დანით დასჭრა ალექსანდრე შავგულიძე. ჯაშუშობისათვის

✦ ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით, ზუგდიდის მაზრის ვაჭარი ა. ფარცვანია, რევოლვერის უნებართვოთ ტარებისათვის და პატრონების ჩუმათ გაყიდვისათვის დააჯარიმეს 50 მან.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გახსნან სოფელ ლიაში, ზუგდიდის მაზრაში მომხმარებელთა საზოგადოება „ამხანაგობა".

✦ 5 ივლისს, ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გახსნან ქუთაისში მუშათა არტელი „ლამპარი".

✦ ამავე გუბერნატორმა ნება დართო გახსნან სოფელ მერგულში, სოხუმის მაზრაში მომხმარებელთა საზოგადოება „ეკონომია.

✦ 5 ივლისს გუბერნატორმა ნება დართო სოფელ გორდის მცხოვრებთ (სენაკის მაზ.) დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება.

✦ 4 მკათათვე. 1916 წ. 4 მკათათვეს ქ. ქუთაისში ქუთაისის ურთიერთ დამხმარე საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის რაჟდენ ყარამანის ძის დათეშიძის თაოსნობით და თავმჯდომარეობით ადგილობრივმა ვაჭრებმა და ინტელიგენციამ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა გერმანელ ქვეშევრდომთა მამულების ლიკვიდაციის შესახებ იქონია მსჯელობა და დაადგინა: 1) ეთხოვოს შორაპნის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ყოველი ღონის ძიება იხმაროს, რომ ზემო აღნიშნული მამულები და მრეწველობა თვით შეიძინოს 2) ეთხოვოს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლებს შუამდგომლობა აღძრან, რათა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ამ მამულების შეძენაში უპირატესობა მიენიჭოს. 3) დაევალოს თათბირზე არჩეულ დეპუტაციას სხვა ქალაქთა მიერ არჩეულ წარმომადგენლებთან ხრთად იშუამდგომლოს შავი ქვის მრეწველთა საბჭოსა და გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლების წინაშე რათა მათ ამ დადგენილებას მხარი დაუჭირონ.

### სოფლად.

ტყაჩირი: ამ სოფელში მცხოვრებლებმა ასეთი განაჩენი დაადგინეს. ა) შაბათს რომ დარეკენ ლოცვებისას [illegible] რი არავინ შევას უღელში, სამუშაოდ არ წავიდეს, გარდა რაიმე საპატიო მიზეზის. მაგალითად. ავადმყოფის წაყვანისა ბ) კვირა უქმე დღეებში დილიდან ნაწირვებამდის არც ერთი დუქანი ღია არ უნდა იქნეს გ) შაბათ საღამოიდან კვირეს ნაწირვებამდი არღანი ან სხვა რაიმე დასაკრავი არ დაუკრან გარდა რაიმე საპატიო მიზეზისა. დ) ბანქოს თამაში. რომელიც გავრცელებულია საზოგადოთ ამ სოფელში სასტიკად უნდა სდევნონ, სადაც უნდა იყოს მისი თამაში: მაგალითად სათემო მინდორზე, ვენახებში და ყანებში.

**დ. ხრესილი.** აქ ამ მოკლე ხანში დაარსეს შემნახველ-გამსესხებელი ბანკი, რომლის თავჯდომარეთაც აირჩიეს ადგილობრივი მცხოვრები ბ. პლატონ არჯევანიძე ბანკს 10,000 მან კრედიტი გაეხსნა. წარმოება უკვე დაიწყეს.

— აქ არსებობს უფასო სახალხო სამკითხველო, რომელსაც მკითხველები ნაკლებათ ყავს.

კვირას 10 ივლისს გაიმართება წარმოდგენა ბ. ვასილ და დიმიტრი ყიფიანების თაოსნობით. წარმოდგენის წმინდა შემოსავალი გადადებული იქნება სამკითხველოს სასარგებლოთ.

აქაურ აბანოებზე წელს დიდძალი ხალხია საგარაკოდ.

— **ს. ფარცხანაყანები.** ამ მოკლე ხანში აქ დაარსეს დეკანოზ გიორგი ფხაკაძის მეთაურობით, უფასო სახალხო სამკითხველო, რომლის კურთხებაც ამ მოკლე ხანში მოხდება.

— **ს. ნაგარევი.** ახლათ დარსებული შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოების წესდება უკვე წარედგინა ინსპექციას განსახილავათ ბანკისათვის სახლი იქირავეს.

## უანგარო მუშაკთა ფასი ვიცოდეთ!*)

(თ. ი. ხუსკივაძის 35 წლის მოღვაწეობის გამო).

### I

ივნისის უკანასკნელ რიცხვებში მოულოდნელად თბილისში მომიხდა ყოფნა და ერთ ჩვენ საკულტურო დაწესებულებას ვეწვიე.

ერთი ჭაღარა მჩხრეკელ-მკვლევარი ჩვეულებრივად სქელ ხუცურ მანუსკრიპტში ჩამძვრალიყო და გამალებით რაღაცას ეძებდა.

დარბაზში ისე შევიპარე, ვერც კი შემამჩნია, სანამ თვითონვე არ გამოვეხმაუ-

---

და მაშინ ძაღლიც ვეღარ იცნობს პატრონსა: ერთი ერთმანეთს შევეჯახებით, ერთი ერთმანეთს თავს შევახლით, ერთი-ერთმანეთს დავჭამთ. მაშინ ტყეში მგელთან და აფართან ცხოვრება უკეთესი და უფრო მოსვენებული იქნება, ვიდრე კაცთა შორის.

ნუ თუ ეს სასურველია პრესსისთვის, რომლის ჭეშმარიტი თავისუფლება მიჯნების განზე გადგომა კი არ არის ბოროტისა, არამედ მისი შეზღუდვა და შეხუთვა დიდი მოვალეობა პრესსისა, მისი ღვაწლი გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუა-კაცობაა, შუა-ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგელის მორიგებაა, შესარიგებლის შერიგებაა იმისდამიხედვით,—ვის რა ზნეობრივი და მოქალაქობრივი, ან ერობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე. ამას ითხოვს ადამიანობა, კაცური კაცობა და ერთობ იგი ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანისა, რომელიც, როგორც მზე, ყველას ერთად ანათებს, ყველას ერთად ათბობს და ყველას გამოუკლებლივ აწვდის ძალსა ცხოველ-მყოფელობისას, სიცოცხლის დაბადებისას, სიცოცხლის ზრდისას.

მართალია, გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია უფრო მეტად გაჭირვებული ვიდრე თავადი აზ. მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ განა ექედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? განა ცოდვაა, რომ მათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შევიტკიოთ? რაკი ცხოვრებას და ისტორიას გლეხებთან ერთად ესენიც გაუჩენიათ სამართლიანად თუ უსამართლოდ, განა შესაძლებელია ერთის კალმის მოსმით, თუნდ იმისთანა ძლიერისით, როგორც დღეს „მოგზაურის" რედაქციას ქვეყნის სასაცილოდ თავისი თავი ჰგონია, განა შესაძლებელია, ვამბობ, ისე ამოდენა ხალხი დედამიწის ზურგიდან წაიშალოს!

მართალია თავად-აზნაურობამ, როგორც ცალკე კრებულმა, დიდი ხანია თავისი დრო მოიჭამა, მაგრამ თავადს, აზნაურს, ვით ცალკე კაცს, ადამიანობა ხომ შერჩა და ვინ რას ემართლება, რომ დღეს კაცი ისე არ გაუვლის გვერდით თავადს თუ აზნაურს,—წიხლი არა ჰკრას, ან მისს ხსენებაზე დორბლები არ წამოყაროს. ზოგიერთს ასე ჰგონია, რომ, თუ ესე არ მოიქცა, რეტროგრადობას დასწამებენ და ლიბერალობით თავს ვეღარ მოიწონებს, რადგანაც ჭეშმარიტის ლიბერალობისა არა გაეგება-რა და მთელი მისი ლიბერალობა ამაზეა ჩამომხდარი და ამაზე შორს აღარ წასულა. ოღონდ წიხლი კი უთავაზოს, თავადია თუ აზნაური, და მიზეზს აღარავინ იკითხავს: ლიბერალობის გვირგვინი მზად არის. დიაღ, იყო ერთ დროს ამისთანა მიმართულება რუსეთში, მაგრამ დიდი ხანია ამ მიმართულების სუფრა ალაგდა და ჩვენი ლიბერალები დღევანდლამდე მის ნასუფრალით იკვებებიან, თითქო მას დღეს აქეთ თვალთა ხედვამ ადამიანისამ არ გაიწ-გამოიწია და უფრო დიდს მანძილს არ გადასწვდა ადამიანის ჭკუა და გონება

თუ მართალი ხარ, თავი იმართლე ბეჭდითვეო, ეს ადვილად სათქმელია და ზოგჯერ შეუძლებელი ასასრულებლად. მაგალითებრ, განა არ შემიძლიან დავწერო და დასაბეჭდავად წავიღო, რომ ერთმა გლეხმა მიამბო, ვითომც რედაქტორი „მოგზაურისა" ერთს ვილაცის სახლში შესულა, ერთი მანათი მოუპარავს და გაპარულა.

ნუ თუ ის ყოვლად უსაბუთო, ყოვლად უგუნო ბრალდება უნდა დაბეჭდოს ან გაზეთმა, ან ჟურნალმა იმ იმედით, რომ, თუ ეს ამბავი ტყუილია, ბრალდებული იმ ტყუილს დაამტკიცებსო. განა აქ ტყუილის დამტკიცება შესაძლებელია? რით და რა გზით? სად არის გეში, სად არის საბუთი, რომ კაცმა ან ასე გახიოს, ან ასე გაფხრიწოს? აქ ცარიელ უარ-ყოფის მეტი ხომ სხვა გზა და ღონე არ არის რაკი დამტკიცებაზე მიდგა საქმე, უარყოფა განა დამტკიცებაა ბრალდების ტყუილისა? უარყოფა პატიოსან კაცისა და აშას კვრა ქურდისა ერთმანეთისაგან როგორ უნდა გაირჩეს ამისანა შემთხვევაში?

ან ვის აქვს იგი ადამიანის ღირსებისათვის უკადრისი მართლი და უფლება, იგი ყოვლად შეუწყნარებელი და ადამიანობის შემაგინებელი ბატონობა, რომ კაცი პასუხის საგებლად მოედანზე გამოსჭიმოს, ვიდრე ბრალმდებს თავისი არ დაუსაბუთებია იმოდენად მაინც, რომ პირველ შეხედვით საბუთი-საბუთზე ჰგვანდეს და არა ტყუილების გუდას.

იქნება ყოველივე ეს, რაც ზემოდ ვთქვი, ჩვენის კორრესპონდენტისათვის მგლის თავზე სახარების კითხვაც იყოს. მე ამ ვაჟბატონის დარდი არა მაქვს, რა კი ვიცი, რომ არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო ევარი მისი. საქმე ის არის, რომ მკითხველმა გაითვალისწინოს,—პრესსას რა ცეცხლში შეუძლიან ტყუილად დასწოს და დაჰბუგოს, ზნეობრივად სტანჯოს და აწამოს ადამიანი, თუ თავისს წმინდა დანიშნულებას უღალატა და ადამიანის ღირსების პირქვე დასამხობლად, ადამიანის სახელის გასატეხად საბუთად მარტო ის იხმარა, დიაღ, მარტო ის, რომ კორესპონდენტი სწერს, ასე მიამბესო.

სწორედ ამგვარად მომექცა ჩემზე ასე ძლიერ გაბოროტებული ავტორი: სამარცხვინო საქციელები დამწამა და საბუთად მარტო ის მოიყვანა, რომ ასე მიამბო ერთს შემთხვევაში ერთმა გლეხმაო, მეორეში მეორემაო, ზოგან თავისიც მოაჭორა და ცარიელის სიტყვის მეტი სხვა არა გვანიშნა-რა. მართლა უამბო თუ არა ან ერთმა, ან მეორე ხლეხმა,—ეგ მაღლა ღმერთმა იცოდეს და დაბლა თვითონ ავტორის სინიდისმა. ხოლო ნუ თუ მბობა ვისიმე საერთოდ და გლეხისა ცალკე საბუთია, რომ შეუმოწმებლად კაცმა კაცი გაჩწიროს, ზნეობითად ჯვარს აცვას, ან შამფურზე აავოს და სირცხვილის ნატვერდალზე შესწვას.

განა გლეხკაცის ნაამბობს კი კბილი არ უნდა გაესინჯოს, განა გამოძიება, განკითხვა, შიგ ჩახედვა და შემოწმება არა სჭირია და ისე სახტსალამად დასაჯერი და მისაღებია?

ვის არ მოეხსენება, რომ როგორც თავად-აზნაურობაში, ისეც გლეხკაცობაში ყველა ანგელოზი არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ: ტყუილი და ერთმანეთის ბეზღობა არ დაეფიცება თითო-ოროლა უნამუსო კაცს, თავადი იქნება, აზნაური თუ გლეხი.

ნამეტნავად ეხლანდელ დროში, როცა ასე გამწვავებულია საქმე წოდებათა შორის, ყოველივე ამბავი და ნაამბობი ათასჯერ ასაწონია, ათასჯერ გასაზომია და ერთხელ ძლივად დასაჯერებელი. თუ კაცი სინდისსა და ნამუსზე ხელ აღებულია და ვისიმე ჯავრის ამოყრა გულს მოსწონია, ადვილად მოახერხებს ათქმევინოს თავად-აზნაურს, თუ გლეხს ავ-ზნეობა და ავკაცობა ერთმანეთისა.

სრულიადაც არ გამიკვირდება, რომ იმავ თავდაჭერილმა ავტორმა ხვალ არ დამწამოს შარა გზაზე ხალხის ძარცვა და ამის საბუთად ის არ მოიყვანოს, რომ ერთმა გლეხმა ასე მიამბოო, და, თუ გაჭირდა, ერთი ვინმე უნამუსო გლეხი, ანუ სხვა წოდების კაცი პირში არ წამომიყენოს. მოდი აქ და თავი იმართლე, თუ უსაფუძვლობა ამისთანა ბრალისა თქვენზე მოაგდეს დასამტკიცებლად.

ხოლო მე საკუთრივ ღმერთმა მიბრალა და ამ შემთხვევაში იმისთანა წინ-დაუხედავი და საზრის მოკლებული ბრალმდები მომივლინა, რომ ზოგან თვითონვე თავისის ხელით ყელს იჭრის და ზოგან იმისთანა გარემოებას გვანიშნებს, რომლის ტყუილი და უსაფუძლობა ადვილად დასამტკიცებელია და დასამოწმებელი თვალთა ხედვით და ხელ შეხებით, თუ ასე ითქმის.

დიაღ, ბატონებო, თუმცა ჩემს მხილებელს, ჩემს ბრალმდებელს სურვილი დიდი ჰქონია ჩემთვის სახელი გაეტეხნა და სირცხვილი ეჭმევია, მაგრამ საფანელი დაჰკლებია და ვერ მოუხერხებია. ვერ მოუხერხებია იმიტომ, რომ ტყუილსაც და ცილისწამებასაც ჭკუა და გონება სდომებია...

იგი იმისთანა ბრალებსა მდებს, რომელთა გაქარწყლება ძალიან ადვილია, თუ კაცი გაირჯება და თვითეულის ბრალის გარემოებას და ვითარებას ცოტაოდნად მაინც ჩაუკვირდება და ჭკუადასმით და გულმართლად განიკითხავს.

**ილია ჭავჭავაძე.**

(შემდეგი იქნება).

რე და არ დავარღვიე მისი სულის განცდა—მყუდროება.

— ააა! შენა ხარ?.. საიდან გაჩნდი აქ ასეთ სიცხეში?!..

მითხრა მან და სალამი მომცა.

— შენ თუ კი ვერ გაშინებს ვერც სიცხე და ვერც არხივის მტვერი, მე რაღა ისეთი ნაზი მნახე, რომ ხანდახანაც კი ვეღარ შემოვიხედო აქ! ღიმილით ვუპასუხე მე და ხელი გაუწოდე.

— მე შეჩვეული ვარ და მაგდენად ვეღარ ვგრძნობ... ძველს მამა-პაპურ შრომას ისეთი ძალა ჰქონია, რომ ყველაფერს გავიწყებს მათი სიყვარული.

— კი, მაგრამ სულ აღარ უნდა ამოძვრე მაგ ხელნაწერიდან და ერთხელ მაინც გაიბერტყო მტვერი?!.

როცა უნდა შემოვიდე, ერთთავად მაგ ალაგზე ხარ დამკვდარი... სულ შრომა, შრომა და არც ერთხელ მოსვენება?..

— ეჰ, ჩემო კარგო!.. მძიმე ოხვრით მიპასუხა მოხუცმა და თანაც ყარანდაში მაგიდაზე დააგდო 40 წელია. ასე ვიქექები ამ მტვერში, კალამი არც კი გამშრალა ჩემი, ღმერთმა იცის, რაც შემძლებია, თავი არ დამიზოგავს, მაგრამ რა გამოვიდა მერე?!..

რა ფასი სდევს ჩვენს შრომას!.. ერთ მადლობასაც არვინ გეტყვის!..

ლექსების წერა მაინც მემარჯვებოდეს...

სიტყვა აღარ დაათავა და ნაღვლით სავსე თვალებით შემომხვდა.

— „რა გამოვიდა ჩვენი შრომისგან“!!. „ლექსის წერა რო მემარჯვებოდესო“... ოჰ, რა ბევრი ითქვა ამით!.. რა მწარე საყვედურიდანაც სამართლიანი ირონიაა!..

— მართლაც რომ საკვირველია ბედი მეცნიერისა და ხელოვანისა!

მეცნიერება და ხელოვნება—ეს ხომ ტყუბი ძმებია, მაგრამ დახეთ რა ბედნიერია მეორე და რა უბედურია პირველი!.. პირველი ჯაგლაგა სახედარია, მეორე კი ლაღი ქურციკი. ერთს რო ზურგზე ბუზიც არ აფრენია, მეორეს ამავე ზურგზე ტყავი აღარ აქვს უნაგრის კეხისაგან!

ერთმა ოცდაათი ტომი ხელნაწერი გვაჩუქა—ნაყოფი ნახევარი საუკუნის აუტანელი შრომისა, მეორემ კი ორი გვერდი ლექსთა კონა გადმოგვიგდო და რა სასწაული მოხდა!.. ის ტომები ვინ შეამჩნია?.. ყველა იმ ლექსთა კონას დაეხვია და თაიგულებით აავსო!..

იქნება, ეს ასეც უნდოდეს, იქნება ეს პოეზიის ძალა იყოს, მაგრამ ხშირად რომ აქ დიდი შეცდომა და გაუგებრობა ხდება, არც ამის უარისყოფა შეიძლება. მელექსეებისათვის ძლიერ ვაიაფებთ გვირგვინებს და მეცნიერების მუშაკთათვის კი ძლიერ ვაძვირებთ. ხელოვნებაზე ცრუ შეხედულებით დამთვრალნი ხშირად დიდ მოჭირნახულე მეცნიერს ვერ ვამჩნევთ და იმავე დროს 15—20 წლის ბალღს—პოეტს დაფნის გვირგვინებს ვუწნავთ ხელოვნების სახელით, თუმცა ზოგჯერ ამ ჩვენ ერთგულობაში უფრო პროფანაცია გამოდის ხელოვნებისა, ვიდრე პატივისცემა...

ჩვენებური მოღვაწის დაფასება ჩვეულებრივად და სრულიად მისი დასაფლავების დღეს გამოჩნდება ხოლმე და აქაც რას ვხედავთ! მაშინვე შეატყობ, ვის ასაფლავებენ: ხელოვანს, თუ მეცნიერს!

დიაღ, უმადურია მუშაკის—მეცნიერის ხელობა: აკვდები, შრომა სიყვარულით, გულწრფელად და ფასი არა სდევს!..

ფასი—მეთქი... ეს უბრალო ვაჭრობა და ანგარიში არ გეგონოთ. შრომისა და ღვაწლის დაფასება—ერთი მხრით საზოგადოების მოვალეობაა, და მადლობა ერთგვარი მარილია, რომელიც გემოს და ლაზათს აძლევს ცხოვრებას, ზნეობრივად ამშვენებს მას, იგი საზოგადოების შეგნება—გემოვნების საზომია, მისი ზნეობრივგონებრივი ვითარების დიპლომია.

არც ასე ადვილია ამ დიპლომის შოვნა: საზოგადოებრივ შეგნებასა და ზნეს დიდი ვარჯიშობა სჭირდება, რომ მათ ეს მადლი და უნარი მოიპოვონ.

მეორე მხრით დამადლება და დაფასება შრომისა მუშაკისთვისაც საჭირო ჰაერია, სულის მალამოა, ნუგეშია, გამხნევებაა, პრიზია, წახალისებაა. საზოგადოებაც ქიურია, სულის შეგნება-გემოვნებას დიდი გაგებულობა მოეთხოვება.

არ არის დედა მიწაზე არც ერთი წმინდანი, რომელზედაც ეს დაფასება მადლობა ბალზამივით არ მოქმედებდეს და ეს ხომ საზოგადოებისთვის სასარგებლოცაა, რადგან მუშაკს ამით სიმხნე, სიხალისე, იმედი, რწმენა და ენერგია ემატება.

აი სად უნდა ვეძიოთ აზრი საიდუმლო დღესასწაულობისა, კარგი გასვენებისა, ძეგლისა და გვირგვინისა.

და განა ეს მარტო პოეტთა, მუსიკოსთა და მხატვართა მონოპოლიას უნდა შეადგენდეს?..

განა ცხოვრება მარტო პოეზიით და მუსიკით იკვებება!..

იქნება, მიპასუხონ ჩვენში საიუბილეო (მსხვილი) მეცნიერ-მოღვაწენი არ არიანო. მაგრამ პოეტნი კი ბევრი არიან? ან თუ არ არიან, მით უმეტეს, უნდა ვშვათ იგინი და რით ვშვათ!

საზოგადოებრივი სკოლის შექმნით, მოთხოვნილების გაზრდით, ატმოსფერის დამყარებით, ყურადღებით, წაქეზებით, მადლობის გადახდით, დაფასებით, საჭირო ნუგეშით

ბევრ პოეტებს უმუშავნია ჩვენში ნ. ნიკოლაძეზე მეტი? მაგრამ ვინ შეამჩნია ეს? ვინ დააფასა? ვინ დაუმადლა? ვინ დაანუგეშა და გაამხნევა? ის კი არა და უმეტესად ათას სიკეთეს ვივიწყებთ, ერთი უბრალო შეცდომის გამო აქ ცოცხლად დამარხვასაც აღარ ვერიდებით კარგს ვერ ვამჩნევთ და ცუდი კი არ გამოგვეპარება! მერე და ამის მწარე ნაყოფს ვინღა იგემებს ხოლმე? მარტო განკიცხულნი? არა! იგივე საზოგადოება.

რით გამოვუხატეთ იაკობ გოგებაშვილს ჩვენი მადლობა მისს სიცოცხლეში? არაფრით! პოეტი არ იყო და მიტომ! რით აღვნიშნეთ პ. იოსელიანის, ა. ხახანაშვილის, მ. ჯანაშვილის, ე. თაყაიშვილის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაკობა? არაფრით, და უბრალო მელექსეზე ოცდაათ ლექცია-სალამოს გავმართავთ და მუშა—მეცნიერი მივიწყებულია. პირველი შეხედვით თითქოს უმნიშვნელოა რომელიმე მუშაკის შრომა, მაგრამ შეგნება რო იყოს, ის შრომა დიდია, ამის ტიპიურ მაგალითს ვხედავთ ზ. ჭიჭინაძეში როგორ გგონიათ თქვენ; ზ. ჭიჭინაძემ მეტი საკულტურო შრომა გასწია, თუ ჩვენმა რომელიმე საშუალო პოეტმა? ვერც კი ვხდებით, რომ ზ. ჭ—ძე დიდ და იშვიათ კულტურულ ძალას წარმოადგენს, თუმცა ის არც ხელოვანია და არც მეცნიერი მაგრამ ვინ გაბედავს მისს ხსენებას?!

ჩვენ ქართველები პატარა ხალხი ვართ, მუშა ძალა ცოტა მოგვეპოვება და მით უმეტეს ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ იმ ცოტა და საშვალო ძალებს, რომელნიც აქა-იქ ბნელში გამოკიაფობენ, „ბნელში ნათელს ჰკვესენ“ და ამ ყურადღებით უნდა გავზარდოთ ეს პატარა წრე.

არც წარსულში უნდა გვავიწყდებოდენ მოღვაწენი. არ კმარა მარტო თამარ ირაკლის ქება ხოტბა. ჩვენი წარსული მარტო მათი შექმნილი არაა. როგორც ლაშქარში მარტო სარდალი არას ნიშნავს, ისე ხალხში მარტო მეფე არას ნიშნავს, თუ მას თანამშრომელნი არ ეყოლა. აი სწორედ ეს თანამშრომელნი არიან ხოლმე მივიწყებულნი, როგორც წვრილი ხალხი, თუმცა ხშირად წვრილი კაცი მსხვილ საქმეს აკეთებს.

II.

სანუგეშო მაგალითი გვიჩვენაგაზ სამშობლომ“ ამ დღეებში ერთი ჩვენი მოღვაწის თეოფილე იესეს ძის ხუსკივაძის 35 წ. მოღვაწეობის აღნიშვნით. ეს სწორედ ის საქმეა, რაზეც ზევით მოგახსენეთ. არ კმარა მარტო გენიოსთა და უკვდავთა პატივისცემა. მით უმეტეს, რომ ჩვენში ასეთები არც კია. საჭიროა საშუალო მუშაკთა გამხნევებაც, რომ მერე პატარამ დიდი შვას.

ამ მხრით თ. ხუსკივაძის შრომის აღნიშვნა ფრიად სიმპატიური და სამართლიანი საქმეა. თეოფილე არ ეკუთვნის უკვდავთა ხომლს, მაგრამ, ვიმეორებ, ცხოვრებას და ისტორიას მარტო უკვდავნი არ ჰქმნიან, იგი შედეგია უკვდავთა და მომაკვდავთა შეერთებული შრომისა.

თეოფილეს ცხოვრება ბევრი მხრითაა აღსანიშნავი. ყველაზე პირველად იგი იშვიათი ბრწყინვალე პიროვნებაა, წმინდა, როგორც ცრემლი, სულით ქართველი, გულით ტიპიური იმერელი—შორაპნელი. იშვიათი მამა, ძმა, მეგობარი და ამხანაგი. ასეთი პირი ყოველთვის მარილია და სურნელება გახუნებულ გადაგვარებული საზოგადოებისათვის, მისი შნო და ლაზათი. სამამულიშვილო საკითხებში სერიოზული და მხურვალე მოკამათე, ისე კი მუდამ ლაღი, კისკასი, მალხაზი, ხუმარა, მოცინარ მოღიმარე მშვიდი ყოველთვის, ფაქიზი ხორციელად და სულიერად, აზრით, გრძნობით ღ სიტყვით, თეოფილე—განა ეს დიდი განძი არაა დღევანდელ ჩვენ ნერვებ აშლილ საზოგადოებაში?

თეოფილე იშვიათი პედაგოგია, თუმცა ეს თვალით და ყურით უნდა განიცადო და არა სხვისი სიტყვით. იგი უნდა ნახო კლასში, ან ეგზამენზე: მოცინარი სახე, ლამაზი ოხუნჯობა, მსუბუქი სიტყვები ჩვეულებრივი საშუალებაა თეოფილესი, რომ ბავში არ შეაკრთოს, არ შეაშინოს, მომენტის სიძნელე შეუმსუბუქოს.

აბა, -ჰე,! ვა შე კაცო!.. ეგ არ იცი!?. აგრე ჰო, აბა კიდევ ერთი! ყოჩაღ პატარა ბიჭო!.. რა მარჯვე ბიჭი ყოფილხარ შენ! Молодецъ, ბიჭო!.. და სხვა ასეთები თაფლივით გადმოსდის თეოფილეს პირიდან და ბავშიც ნეტარებას გრძნობს და არა ჩვენი დროის სკოლაში „განკითხვის დღეს“.

თეოფილე ჩინებული მხატვარია, ბელეტრისტი, მდიდარი ფანტაზიით, მსუბუქი ენით, საუცხოვოა მისი საამდგომო სურათები, სცენები იმერეთის ცხოვრებიდან, ხუცეს დიაკვნის ტიპები, იმერული სათამაშოები, ბუნების სურათები (ნაკადული) პირუტყვთა ფსიხოლოგიის ღრმა ანალიზი („მეც დედა ვარ“, „ეგ არის შენი სიყვარული“?) და სხვა.

თეოფილე ჩინებული ისტორიკოსია საუცხოვოა მისი ისტორიული მონოგრაფები მოთხრობები (სოლომონ მეფე, ლევან ბატონიშვილი...)

დასასრულ, თეოფილე დაუღალავი, მოუწყინარი საზოგადო მოღვაწეა, ფხიზელი წევრი ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა. მას არც ერთხელ არ გამოპარვია ჩვენი ერის არც ჭირი და არც ლხინი. საცა უნდა იყოს და რა მდგომარეობაშიც იყოს, ის მაინც უბედურობის, ან ბედნიერების ალაგზე გაჩნდება და საზოგადოებასან ერთად სტირის და იცინის.

სულით და გულით ვუსურვებთ ბ. თეოფილეს ხანგრძლივ ცხოვრება მოღვაწეობას მისი მოუწყინარ ენერგიითა და სიცოცხლით სავსე ხასიათით.

მ. კედ—ძე.

*) ვბეჭდავთ ამ სამართლიან ამონაკვნესს ბ-ნის მ. კელ—ძისას და თან მწარედ გვეტირება!..

განა ასეთი რედაქციები, სადაც უმეცრები პარპაშებენ დააფასებენ ვისმე, გარდა იმ პირებისა, ვინც მათ ერთ ლუკმა პურს გადმოუგდებს?

განა ის საზოგადოება, რომელიც გადარეულია „ოქროს ფეხისა“ და „ბარამჭასათვის“ დააფასებს მშვიდსა და თავდადებულ მუშაკს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს სწირავს მეცნიერებას?

განა ის წრე, ის ჯგუფი, ის დასი, რომელიც ლაქიაობასა და შენჩემობაზე ამყარებს თავის მოღვაწეობას მიხვდება: ვინ არიან ნ. ნიკოლაძე, თაყაიშვილი, ჯანაშვილი, ზ. ჭიჭინაძე და სხვა მათი მსგავსნი?

განა ის ნაწილი ქართველი საზოგადოებისა, რომელიც კალმის ცუღლუტებს ტაშს უკრავს, დააფასებს თეოფილესთანა მწერლებს?

მათ სჭირიათ ვარაყი, შირმა, ხმაურობა, პირფეროზა, ლაქუცი, უმეცრება და უვიცობა, რომ უფრო მეტი იფუტურისტონ!..

მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთაც ბ-ნ მ. კელ—ძის სიტყვა გულწრფელად ჩააფიქრებს და სწორედ ამათ საყურადღებოდ ვბეჭდავთ ამ წერილს.

რედ.

## პასუხი:

**დ. ლაილაშის წვრ. კრ. ამხ. თავჯდომარეს კ. ბერუჩაშვილს.**

გაზეთ „სამშობლოს“ მე-364 ნომერში ბ-ნი კ. ბერუჩაშვილი ეხება „სამშობლოში“ მოთავსებულ ჩემს წერილებს და ყველაფერზე მეთანხმება, ვრცელს და შინაარსიანსაც კი უწოდებს ამ წერილებს, მაგრამ იმ „უსამართლობას“ კი ვერ ითმენს, სადაც ვეხები ლაილაშის წვრილი სესხის საამხანაგო ბანკს, რომლის თავჯდომარედაც ბ-ნი ბერუჩაშვილი ბრძანდება.

ბ-ნი კ. ბერუჩაშვილი ბრძანებს: ლაილაშის საამხანაგო ბანკს მხოლოდ 10,000 მანეთი აქვს თანხა, 2000 მ. გრძელ ვადიანი და 8000 მ. მოკლე ვადიანი და აქედან ცხადზე უცხადესია, რომ ასეთი პატარა თანხით არ შეუძლია ფართოდ გაუწიოს დახმარება კულტურულ დაწესებულებებს იმაზე მეტად, რაც გაუწია ხსენებულმა ბანკმაო და სხვა.

ჩემს წერილებში მე არ მისაყვედურნია დახმარების სიმცირე-სიდიდეზე; მე ვსთქვი, რომ ერთ დროს ეს ბანკი ეხმარებოდა სამკითხველოს და დღეს ესეც შესწყვიტა მეთქი.

გაგებინებათ ანდაზა „სანაქებო ფურის შესახებ“ სწორედ ისე მოუვიდა კ. ბერუჩაშვილის ბანკსაც. თანხის სიდიდე-სიმცირე აქ არაფერ შუაშია, ვინაიდგან როდესაც ხსენებულ ბანკს მხოლოდ 6000 მ. ჰქონდა, აი სწორეთ მაშინ ეწეოდა ეს ბანკი სამკითხველოს და ღარიბ მოწაფეებსაც, ხოლო, როდესაც დღეს 10000 მ. აქვს, ამ დროს კი მან კარები მოწყალებისას დახშო.

მდიდრის ფსიხოლოგიას ხომ არ წამოუევია ამ ბანკში თავი? თანხა აქ არაფერ შუაშია; იმ დროს, როდესაც ბანკი ღარიბი იყო, მიგ ინტელიგენტი ძალები მუშაობდენ, როგორც მაგალითად: ეფ. გვეტაძე, არ. მგალობლიშვილი და სხვანი მრავალნი, რომელნიც საზოგადო კრებებს უხსნიდენ ბანკის დანიშნულებას და კულტურულ დაწესებულებების სარგებლობას და კრებაც შეძლების გვარად აჯილდოებდა სამკითხველოს. დღეს ისინი ჩამოშორდენ ამ ბანკს, ინტელიგენტთაგანი მხოლოდ ბ-ნი თავჯდომარე კ. ბერუჩაშვილი ბრძანდება და ბანკმაც ის მცირე შესწყვიტა წვლილის, რასაც იწეოდა. აი, ამაზე იყო ჩვენი საყვედური აშენებული, რომლის უარის თქმა შეუძლებელია.

ბატონი კ. ბერუჩაშვილი იმასაც კი გვამადლის, რომ შარშან სამკითხველო რომ ბანკის დაქირავებულ ოთახში იყო მოთავსებული, ის ახლაც არ გამოთავისუფლებია იმის მიუხედავათ, რომ იმ ოთახში ერთი დამტვრეული ზანდუკი და სკამი და ბანკისთვის ის საჭირო არ არისო. სწორე მოგახსენოთ ბ-ნი კ. ბერუჩაშვილს დიდად ჰგვარებია ლაილაშის სამკითხველო ვინაიდგან სამკითხველო ეს ერთი წელიწადია სულ სხვაგან ბინადრობს თავის საკუთარი ხარჯით, მაგრამ მისს ნამეთვ ოთახს კ. ბერუჩაშვილი მაინც არ სცილდება. ან რა გასაკვირია, რომ კ. ბერუჩაშვილს სამკითხველო ისე „ძალზე უყვარდეს“, რომ ერთის წლის წინეთ სამკითხველოს „ნალოკინევს“ დღემდისაც ვერ მოშორებია, რადგან სამკითხველოს პასუხისმგებელი გამგე თვით კ. ბერუჩაშვილი ბძანდება... მარა არც ასეთი უკმური სიყვარულის მნახველი ვარ, რომ სატრფოს შიმშილით სული ხდებოდეს, მას თვალით უყურებდე და შენ კი კვალს ქეებდე და მის ნაბინადრევ ოთახებს სცემდე თაყვანს და ამაზე ფულებსაც ხარჯავდე.

რაც შეეხება იმაზე მითითებას და ამით თავის მართლებას, რომ ბანკი ღარიბ-ღატაკებს მევახშეთა ბრჭყალებიდან იხსნის და „შემდეგში“ აზრადა გვაქვს სამეურნეო იარაღების შეძენა და სხვა, ეს ჩვენც ვიცით, რომ ჩინებულია, ბ-ნო კ. ბერუჩაშვილო,... მაგრამ ისიც კარგათ ვიცით, რომ ასეთი გზით, ასეთი პრინციპით „ქალაქი ვერ აშენდება“.. და მსგავსი საკრედიტო ამხანაგობათა ის წმინდა მოვალეობა, რომელთა დაარსების ქვაკუთხედს წარმოადგენს,—მსესხებელთა წარმოების იძრდილება, უნაყოფოდ და მის [illegible] „შემდეგში“ გამოწერილი „იარაღები“ ვეღარ უშველის და თვითონ [illegible] ვითარცა სხვა [illegible] ებაში გამოიწვევა ჩვენს [illegible] მოგახსენებთ ეხლაც და ყოველთვის, ვიდრე გონს არ მოხვალთ.

leus

### ჩვენი ფოსტა.

აქ „ჩვენი მეგობრის“ რედაქციის წვრილფეხებს.

ბრისს! აცხა! ჩვენი მწერლობის ტურა-მელებო! რა თქვენი ჭკუის საქმეა მართალი სიტყვა და წრფელი გრძნობა.

„მეგობარმა“ რა იცის ხურმა რა ხილია!

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“




**რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 20 | „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

**აბანო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

**ავათმყოფნი სუსუნატით**

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლაპისა, ჰატებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)